<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 17.03.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010120000.05.001.017356) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:**

„9. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ამ კანონის მიზნებისთვის არ წარმოეშობა საქართველოში კანონიერად ყოფნის უფლება.“.

2. **მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:**

„10. საქართველოს ვიზა არ გაიცემა უცხოელზე, რომელიც სავიზო განაცხადის წარდგენის მომენტისთვის საქართველოში იმყოფება საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების საფუძველზე.“.

3. **მე-9 მუხლის 4² პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4². უცხოელს, რომელმაც ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად სავიზო განაცხადი წარადგინა, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების განმავლობაში საქართველოში ყოფნის ვადა საპატიოდ ჩაეთვლება და იგი გათავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან. აღნიშნული საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უცხოელი არ შეიძლება გაძევებულ იქნეს საქართველოდან. ამ პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გასაჩივრების შემთხვევაში, არ ფერხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაძევების საკითხის განხილვა ან/და გაძევების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.“.

4. **მე-18 მუხლის:**

ა) **პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს**;

ბ) **მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები**:

„4. საქართველოში ბინადრობის ნებართვა არ გაიცემა უცხოელზე, რომლის მიმართაც ამ კანონით დადგენილი წესით დაწყებულია გაძევების საკითხის განხილვა ან მიღებულია გადაწყვეტილება მისი საქართველოდან გაძევების შესახებ. ბინადრობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს მიერ

მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრება არ აფერხებს გაძევების საკითხის განხილვას ან/და გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.
5. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისას სააგენტო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან წერილობით გამოითხოვს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.“.

5. **21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:
„თ) თუ უფლებამოსილმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება მისი საქართველოდან გაძევების შესახებ;“.

6. **41-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 პუნქტები:**
„2^1. სამართალწარმოების დროს უცხოელს საკუთარი ხარჯებით, შეუძლია ისარგებლოს ადვოკატის მომსახურების უფლებით, ადვოკატის მონაწილეობას არ გააჩნია სავალდებულო ხასიათი, ამასთან, შესაძლებელია სამართალწარმოებაში მისი მონაწილეობა განხორციელდეს დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. სამართალწარმოების დროს ადვოკატის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არ აფერხებს სამართალწარმოებას.
2^2. იმ შემთხვევაში, თუ სამართალწარმოებისას არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა უცხოელის მიერ არჩეული ადვოკატი, სამართალწარმოება განხორციელდება ადვოკატის მონაწილეობის გარეშე. აღნიშნულ შემთხვევაში არ ინიშნება ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.“.

7. **47-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 47^1 მუხლი**:
„მუხლი 47^1. საქართველოდ გასვლის ვალდებულება
1. საქართველოდან გასვლის ვალდებულება არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უცხოელის ვალდებულება დატოვოს საქართველო.
2. უცხოელი, რომელსაც არ აქვს საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძველი, ამ კანონის შესაბამისად, ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს საქართველო.“.

8. **48-ე მუხლის**:
ა) **მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:
„7. უცხოელს ამ მუხლით გათვალისწინებული საქართველოდან გასვლის ვალდებულება არ გადაუვადდება, თუ მის მიმართ ამ კანონით დადგენილი წესით დაწყებულია გაძევების საკითხის განხილვა ან მიღებულია გადაწყვეტილება მისი საქართველოდან გაძევების შესახებ.“;
ბ) **მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი**:
„8. საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრება არ აფერხებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაძევების საკითხის განხილვას ან/და გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.“.

9. **51-ე მუხლის**:
ა) **პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„გ) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან/და მართლწესრიგს;“;

ბ) **მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. თუ ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს უცხოელისათვის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დასადგენად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოქმედება მასზე არ ვრცელდება ადმინისტრაციული წარმოების განმავლობაში. ამასთანავე, თუ ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს უცხოელისათვის საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად, ადმინისტრაციული წარმოების განმავლობაში ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება მასზე არ ვრცელდება. ამ პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრება არ აფერხებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაძევების საკითხის განხილვას ან/და გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.“;

გ) **მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2[1] პუნქტი**:

„2[1]. უცხოელის გაძევების საკითხის განხილვა ჩერდება, თუ მის მიმართ მიმდინარეობს საექსტრადიციო პროცედურები ან/და საქართველოში დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა.“.

10. **51-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 51[1] მუხლი**:

„მუხლი 51[1]. უცხოელის თანამშრომლობის ვალდებულება

1. გაძევების საკითხის განხილვისას, გაძევების შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის პერიოდში ან/და გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებისას, უცხოელი ვალდებულია ითანამშრომლოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოსთან, მათ შორის:

ა) მიაწოდოს ზეპირი ან/და წერილობითი ინფორმაცია და ახსნა-განმარტება;

ბ) წარადგინოს მის ხელთარსებული ყველა მტკიცებულება, დოკუმენტი და სხვა ინფორმაცია, რომელიც ეხება გაძევებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას;

გ) ითანამშრომლოს გაძევებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მოპოვებაში;

დ) ითანამშრომლოს მისი პიროვნების იდენტიფიკაციისა და გადამოწმების მიზნით საჭირო ინფორმაციის შეგროვებაში;

ე) გაძევების საკითხის შესწავლისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს წარუდგინოს მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) 3 სამუშაო დღის ვადაში, წერილობითი ფორმით აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის, სამართლებრივი ან სამოქალაქო მდგომარეობის, მათ შორის, ამ კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტით და 61-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის შესახებ;

ზ) შეასრულოს ამ კანონის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებები;

თ) დატოვოს საქართველო, უფლებამოსილი ორგანის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადაში;

ი) გადაიღოს ფოტო, აიღოს ხელის თითის და ხელის გულის ანაბეჭდები.“.

11. **52-ე მუხლის**:

ა) **მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. ამ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“–„თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლით, სასამართლოში უცხოელის საქართველოდან გაძევების საკითხის განხილვის დაწყების საფუძველია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი შუამდგომლობა.“;

ბ) **მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 პუნქტები**:

„3^1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების უზრუნველყოფის მიზნით, დამსაქმებელი, მათ შორის, სახელმწიფო დაწესებულება და იურიდიული პირი, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია უცხოელთან არსებული შრომითი ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3^2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო უფლებამოსილია შრომითი მიგრანტების შესახებ ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოითხოვოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან. “;

გ) **მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია საქართველოდან გაძევების საკითხის განხილვის დაწყებისთანავე უცხოელს წერილობითი ფორმით, მისთვის გასაგებ ენაზე ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ უცხოელს ესმის, განუმარტოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართვის უფლება.“.

12. **53-ე მუხლის**:

ა) **მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დასაბუთებული გადაწყვეტილება (ქართულ ენაზე და ნათარგმნი მისთვის გასაგებ ენაზე ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ უცხოელს ესმის) უცხოელს ბარდება ამ კანონის 56^1 მუხლით დადგენილი წესით, რომელშიც მიეთითება მოკლე ინფორმაცია გაძევების, გაძევებაზე უარის თქმის ან საქართველოდან გაძევების გადავადების სამართლებრივი საფუძვლის შესახებ, ასევე ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. გადაწყვეტილების თარგმნა უნდა განხორციელდეს უცხოელისთვის გასაგებ ენაზე ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ უცხოელს ესმის.“;

ბ) **მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5–მე-7 პუნქტები**:

„5. გაძევების საკითხის განხილვის ადმინისტრაციული წარმოებისას არსებითი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით, უცხოელთან ტარდება გასაუბრება. გასაუბრების თარიღის შესახებ უცხოელს ეცნობება 2 სამუშაო დღით ადრე, ამ კანონის 56^1 მუხლით დადგენილი წესით. მას გასაუბრების დროის შესახებ შესაძლებელია დამატებით ეცნობოს ტელეფონით, რაზეც დგება შესაბამისი სატელეფონო გასაუბრების ოქმი.

6. გასაუბრების მასალების სიზუსტის უზრუნველსაყოფად, გასაუბრება ფიქსირდება წერილობით, ასევე ხორციელდება გასაუბრების აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი უცხოელის პირად საქმეში ინახება, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

7. უცხოელის საქართველოდან გაძევების განხილვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.“.

13. **53-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 53[1] მუხლი**:

„მუხლი 53[1]. საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის ფოტოგადაღების, ხელის თითის და ხელისგულის ანაბეჭდის აღება

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო ან პოლიციის შესაბამისი ტერიტორიული ორგანო იღებს საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის ფოტოს, ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდებს. 14 წლამდე ასაკის უცხოელის ფოტოს გადაღება, ასევე, ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღება დასაშვებია, იმ შემთხვევაში თუ პირის იდენტიფიცირება ან ვინაობის გადამოწმება სხვაგვარად შეუძლებელია, რა დროსაც მხედველობაში მიიღება აღნიშნული პირის უფლებები და საუკეთესო ინტერესები.

2. უცხოელის მიერ, ფოტოგადაღების, ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდის აღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების აღება შესაძლოა განხორციელდეს იძულების პროპორციული ღონისძიებების გამოყენებით.

3. უცხოელის ფოტოსურათი, ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდები ინახება სამინისტროს შესაბამის მონაცემთა ბაზაში და მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. ფოტოგადაღების, ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღებისა და ამ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.“.

14. **54-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 54. საქართველოს ნებაყოფლობით დატოვება უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების საფუძველზე

1. უცხოელის საქართველოდან გაძევების საკითხის განხილვისას, უცხოელის მოთხოვნის შემთხვევაში, ინდივიდუალური საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოში მყოფ უცხოელს საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილებით განესაზღვრება საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების გონივრული ვადა – 7-დან 30 კალენდარულ დღემდე, რომლის განმავლობაშიც მან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გაღების გარეშე უნდა დატოვოს საქართველო.

2. საქართველოდან გაძევების საკითხის განხილვის გასაუბრების ეტაპზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო უცხოელს წერილობითი ფორმით, მისთვის გასაგებ ენაზე ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ უცხოელს ესმის, განუმარტავს, საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადით სარგებლობის უფლების თაობაზე.

3. მიმალვის რისკის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლოა უცხოელს, საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის პერიოდში, დაეკისროს ვალდებულება:

ა) არაუმეტეს კვირაში ორჯერ გამოცხადდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში ან პოლიციის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში;

ბ) წარადგინოს მინიმუმ 3 000 ლარის ოდენობის გარანტია;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს ჩააბაროს სამგზავრო დოკუმენტი;

დ) არ შეიცვალოს გაძევების საკითხის განხილვისას მითითებული საკონტაქტო ინფორმაცია, საცხოვრებელი მისამართი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს დაუყოვნებლივი ინფორმირების გარეშე;
ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს მიაწოდოს საცხოვრებელ ადგილზე 2 დღეზე მეტი პერიოდით არყოფნის შესახებ ინფორმაცია;
ვ) გამოცხადდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში გაძევების გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გარემოებების გასარკვევად ან/და კონსულტაციისთვის.
4. შესაძლებელია უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით უცხოელს დაეკისროს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთზე მეტი ვალდებულება.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უცხოელზე გაიცემა მისი სამგზავრო დოკუმენტის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოსთვის ჩაბარების შესახებ ცნობა.
6. თუ არსებობს ვარაუდი, რომ უცხოელმა გადამალა სამგზავრო დოკუმენტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს ან/და პოლიციის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს უფლება აქვთ საცხოვრებელი ადგილის თანამესაკუთრის ან თანამფლობელის წერილობითი თანხმობით, სამგზავრო დოკუმენტის მოძიების მიზნით, შეამოწმონ უცხოელის საცხოვრებელი ადგილი.
7. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს ან/და პოლიციის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს უფლება აქვთ საცხოვრებელი ადგილის თანამესაკუთრის ან თანამფლობელის წერილობითი თანხმობით შეამოწმონ, ცხოვრობს თუ არა უცხოელი განსაზღვრულ საცხოვრებელ ადგილას.
8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს ან/და პოლიციის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ დოკუმენტის მოძიების მიზნით, უცხოელის საცხოვრებელ ადგილის შემოწმებაზე უცხოელის უარი წარმოადგენს ამ კანონის 51^1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას.
9. უცხოელს შეიძლება არ მიეცეს საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადა ან განესაზღვროს 7 დღეზე ნაკლები ვადა, თუ:
ა) არსებობს უცხოელის მიმალვის რისკი;
ბ) უცხოელის გაძევება ხდება ამ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე;
გ) უცხოელს უარი ეთქვა ბინადრობის ნებართვის გაცემაზე ან საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე, განაცხადის დაუსაბუთებლობის გამო;
დ) ბინადრობის მოწმობის გაცემის ან საერთაშორისო დაცვის მინიჭების საქმის წარმოების ეტაპზე უცხოელმა წარადგინა ყალბი ინფორმაცია ან გაყალბებული დოკუმენტები მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ;
ე) გაძევების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია იმ უცხოელის მიმართ, რომელიც დააკავეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო და რომელსაც არ მიუღია საქართველოში ყოფნის ნებართვა ან უფლება;
ვ) უცხოელის გაძევება ხდება ამ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

ზ) გაძევების საკითხის განხილვის დაწყების შემდეგ, უცხოელმა განმეორებით მოითხოვა საერთაშორისო დაცვა ან/და მიმართა სააგენტოს გასვლის ვალდებულების გადავადების თაობაზე;
თ) ამ კანონის 51[1] მუხლის შესაბამისად, არ თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოსთან.
10. გაძევების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქართველოს ნებაყოფლობითი დატოვების ვადა შეიძლება შემცირდეს ან/და ამ ვადის გასვლამდე გაძევების შესახებ გადაწყვეტილება აღსრულდეს, თუ:
ა) არსებობს უცხოელის მიმალვის რისკი;
ბ) გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ:
ბ.ა) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან/და მართლწესრიგს;
ბ.ბ) გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, უცხოელმა განმეორებით მოითხოვა საერთაშორისო დაცვა ან/და მიმართა სააგენტოს საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების თაობაზე;
ბ.გ) ამ კანონის 51[1] მუხლის შესაბამისად, არ თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოსთან.
11. გაძევების შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად საჩივრდება, საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის განსაზღვრის/შემცირების, ასევე, გაძევების შესახებ გადაწყვეტილებით საქართველოში შემოსვლის აკრძალვის ვადის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილება.
12. უცხოელის მიერ საქართველოს ნებაყოფლობით არდატოვების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარანტია გამოიყენება უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად.
13. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების შემთხვევაში უცხოელი არ თავისუფლდება საქართველოში ყოფნის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან.
14. ამ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“–„თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლით უცხოელის საქართველოდან გაძევებისას, საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების დასადასტურებლად იგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს ან სასამართლოს წარუდგენს შესაბამის მტკიცებულებებს.“.

15. **54-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 54[1] მუხლი**:
„მუხლი 54[1]. უცხოელის მიმალვის რისკი
1. უცხოელის ქვეყნიდან გაძევების საკითხის განხილვისას, ასევე, გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ფასდება უცხოელის მიმალვის რისკი. უცხოელის მიმალვის რისკი არსებობს, თუ:
ა) უცხოელს არ დაუტოვებია საქართველო საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადაში;
ბ) საქართველოში ყოფნის ან საქართველოში ყოფნის ვადის გაგრძელების სამართლებრივი საფუძვლის, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, საერთაშორისო დაცვის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოთხოვნისას უცხოელმა წარადგინა ყალბი დოკუმენტები ან ინფორმაცია;
გ) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ უცხოელმა გაანადგურა ან დამალა სამგზავრო დოკუმენტი;

დ) არსებობს დასაბუთებული ეჭვი უცხოელის ნამდვილი ვინაობის ან მოქალაქეობის შესახებ;
ე) უცხოელს არაერთხელ ჩაუდენია განზრახი დანაშაული ან ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რისთვისაც მას სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა;
ვ) უცხოელმა არ შეასრულა მის მიმართ გამოყენებული, ამ კანონის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება;
ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში გასაუბრებისას უცხოელმა მიუთითა ან თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო უცხოელის პიროვნებისა და მისი ქცევის გათვალისწინებით ასკვნის, რომ მას არ სურს შეასრულოს საქართველოს დატოვების ვალდებულება;
თ) უცხოელი შემოვიდა საქართველოში მის მიმართ მოქმედი საქართველოში შესვლის აკრძალვის მოქმედების პერიოდში;
ი) უცხოელი დააკავეს საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო და მას არ მიეცა საქართველოში ყოფნის ნებართვა ან უფლება;
კ) გაძევების საკითხის განხილვისას უცხოელმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს დაუყოვნებლივი ინფორმირების გარეშე დატოვა მის მიერ მითითებული საცხოვრებელი მისამართი.“.

16. **55-ე მუხლის პირველი პუნქტის**:

ა) **„გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:
„გ) თუ იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია და თანმხლები პირის გარეშე იმყოფება;“;

ბ) **„ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:
„ვ) თუ იქმნება არასრულწლოვნის თანმხლები პირის გარეშე დარჩენის ან/და განათლების მიღების შეფერხების საშიშროება.“.

17. **56-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 56. უცხოელის საქართველოდან გაძევების, გაძევებაზე უარის თქმის ან გაძევების გადავადების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. ამ კანონის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და 54-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, უცხოელისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების 56^1 მუხლით განსაზღვრული წესით ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლებით სარგებლობა არ წარმოშობს უცხოელისთვის ამ კანონით გათვალისწინებული საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის ან ამ კანონით გათვალისწინებული საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების საფუძველს.
3. უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან, საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის შემცირებასთან ან/და გაძევების თაობაზე საქართველოს შინაგან სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების ან სასამართლოს მიერ მიღებული ბრძანების დაუყოვნებლივ აღსრულებასთან, უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებასთან, დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომის გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლო დავის ფარგლებში, უცხოელის მიერ სარჩელის/სააპელაციო საჩივრის გამოხმობის,

აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრების ან/და სარჩელით სასამართლოსათვის ხელახლა მიმართვის შემთხვევაში არ ფერხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაძევების საკითხის განხილვა ან/და გაძევების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.“.

18. **56-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 56[1] მუხლი**:

„მუხლი 56[1]. უცხოელთან კომუნიკაციის და მისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილების ჩაბარების წესი

1. უცხოელთან კომუნიკაცია ხორციელდება შესაბამისი შეტყობინების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე (შემდგომ – ვებგვერდი) განთავსებით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ კანონის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი შეტყობინება ან/და გადაწყვეტილება ჩაბარებულად მიიჩნევა ამ გადაწყვეტილების ვებგვერდზე განთავსების დღის მომდევნო დღიდან. უცხოელს, მისთვის გასაგებ ენაზე, ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ უცხოელს ესმის, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ეგზავნება ინფორმაცია აღნიშნული გადაწყვეტილების ვებგვერდზე განთავსების შესახებ.

2. უცხოელი ვალდებულია:

ა) შეინახოს მისთვის გადაცემული მომხმარებლის სახელი და დაშვების კოდი;

ბ) მომხმარებლის სახელისა და დაშვების კოდის დაკარგვის ან ვებგვერდზე შესვლის შეუძლებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომხმარებლის სახელის ან/და დაშვების კოდის აღდგენის მიზნით;

გ) შეტყობინების ან გადაწყვეტილების ვებგვერდზე განთავსების შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღების შემდეგ, მომხმარებლის სახელისა და დაშვების კოდის გამოყენებით, გაეცნოს შეტყობინებას ან/და გადაწყვეტილებას.

3. დროებითი განთავსების ცენტრში მყოფ უცხოელს შეტყობინება ან/და გადაწყვეტილება ბარდება ხელზე, რასაც უცხოელი ადასტურებს ხელმოწერით, ჩაბარებაზე უარის თქმის შემთხვევაში შეტყობინება ან/და გადაწყვეტილება ჩაბარებულად ჩაითვლება.

4. გაძევების საკითხის შესწავლის პერიოდში უცხოელის მიერ საქართველოს დატოვების შემთხვევაში, ამ კანონის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილება ვებგვერდზე განთავსებასთან ერთად, უცხოელს ეგზავნება მის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ვებგვერდზე განთავსებიდან მე-15 დღეს.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინებისა და გადაწყვეტილების სამინისტროს შესაბამის ვებგვერდზე განთავსების წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.“.

19. **57-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 57. უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების ვადა

1. თუ უცხოელი ნებაყოფლობით არ დატოვებს საქართველოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მისი საქართველოდან გაძევების თაობაზე იძულებით აღსრულდება.

2. უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილება აღსრულდება მისთვის საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების მიზნით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.
3. თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო ვერ აღასრულებს უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილებას იმის გამო, რომ გასაძევებელი პირი მიმალულია ან იგი თავშესაფრის მაძიებელია, ან არსებობს სხვა გარემოება, რომლის გამოც ვერ ხერხდება გადაწყვეტილების აღსრულება (გარდა ამ კანონის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ათვლა ჩერდება შესაბამისი საფუძვლის აღმოფხვრამდე.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების აღსრულების ვადის შეჩერების შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო 2 თვეში ერთხელ შეისწავლის ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი გარემოებებს და და აღმოფხვრის შემთხვევაში, უცხოელის მიმართ განახლდება გაძევების აღსრულება.“.

20. **57-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 57[1] მუხლი:**
„მუხლი 57[1]. იმ უცხოელის გაძევება, რომელსაც სასჯელად დაენიშნა საქართველოდან გაძევება და და განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვა
1. თუ უცხოელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახედ განესაზღვრება საქართველოდან გაძევება და განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვა, აღნიშნული აღსრულდება:
ა) თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე ან ნებისმიერი სხვა საფუძვლით გათავისუფლებისთანავე, თუ იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელს იხდის საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში;
ბ) სასჯელის მოხდამდე, თუ მას დანიშნული აქვს არასაპატიმრო სასჯელი;
გ) გამოსაცდელი ვადის გასვლამდე, თუ მას სასამართლოს მიერ დანიშნული აქვს პირობითი მსჯავრი.
2. საქართველოდან გაძევების და განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვის აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო. ამ მიზნით, გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო, განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას სასამართლოს განაჩენის ასლთან ერთად უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.
3. საქართველოდან გაძევების და განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვის აღსრულების მიზნით, ამ კანონის 64-ე მუხლით დადგენილი წესით, უცხოელი შესაძლებელია მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში ან დროებითი განთავსების ცენტრში.
4. თუ უცხოელს სასჯელად დაენიშნა საქართველოდან გაძევება და განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო მისი გაძევების აღსრულების უზრუნველსაყოფად შესაბამის პროცედურებს იწყებს სასჯელის მოხდამდე ან ნებისმიერი სხვა საფუძვლით გათავისუფლებამდე 3 თვით ადრე, აღნიშნული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის არარსებობისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო უცხოელის გაძევების და განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვის აღსრულების უზრუნველსაყოფად შესაბამის პროცედურებს იწყებს პენიტენციური დაწესებულებიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ, დაუყოვნებლივ.“.

21. **58-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:
„1. უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილებას აღასრულებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით.“.

22. **59-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:
„3. უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი არ შეიძლება საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ იქნეს დაბრუნებული ან გაძევებული იმ ქვეყანაში, სადაც მას წამების ან არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სერიოზული ზიანის საფრთხე შეექმნება.“.

23. **მე-60 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:
„მუხლი 60. უცხოელის საქართველოში დროებითი ყოფნის უფლება
1. უცხოელისთვის საქართველოში დროებითი ყოფნის უფლების მიცემის და დროებითი ყოფნის ვადის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო.
2. უცხოელს მიეცემა საქართველოში დროებითი ყოფნის უფლება, თუ არსებობს საქართველოდან გაძევების დამაბრკოლებელი ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:
ა) უცხოელის საქართველოდან გაძევება შეუძლებელია ამ კანონის 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით;
ბ) ამ კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი საფუძველი არ აღმოიფხვრა იმავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ;
გ) უცხოელის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება;
დ) გასაძევებელი უცხოელის მიღებაზე თანხმობას არცერთი სახელმწიფო არ აცხადებს;
ე) ამ კანონის 61-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ, საქართველოში დროებითი ყოფნის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დროებით საიდენტიფიკაციო მოწმობას – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართვის საფუძველზე გასცემს სააგენტო.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი გარემოების აღმოფხვრის შემთხვევაში, სააგენტო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართვის საფუძველზე აუქმებს დროებით საიდენტიფიკაციო მოწმობას.
5. დროებითი ყოფნის უფლება ენიჭება 1 წლით და ამავე ვადით გაიცემა დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა. აღნიშნული ვადა შესაძლოა გაგრძელდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით, იმავე ვადით, თუ კვლავ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც პირს დროებითი ყოფნის უფლება მიეცა.

6. დროებითი ყოფნის პერიოდში, 6 თვეში ერთხელ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო შეისწავლის ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ გარემოებებს. იმ შემთხვევაში, თუ უცხოელის საქართველოში დროებითი ყოფნის უფლებით სარგებლობის პერიოდში აღმოიფხვრა საქართველოდან გაძევების დამაბრკოლებელი გარემოებები, უცხოელს გაუუქმდება საქართველოში დროებითი ყოფნის უფლება და მის მიმართ დაიწყება გაძევების შესაბამისი პროცედურები.
7. საქართველოში დროებითი ყოფნის უფლება უცხოელს ასევე გაუუქმდება, თუ ცნობილი გახდა, რომ ის არ აკმაყოფილებდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს ან/და მან არასწორი ინფორმაცია ან/და ყალბი დოკუმენტაცია წარმოადგინა, კერძოდ:
ა) არსებითი ფაქტობრივი გარემოებები პირმა არასწორად წარმოაჩინა ან/და დამალა;
ბ) გამოიკვეთა ახალი გარემოებები, რომლებიც მიუთითებს, რომ მასზე არ უნდა გავრცელებულიყო საქართველოში დროებითი ყოფნის უფლება;
გ) სხვა ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ პირზე გაცემულია ბინადრობის უფლება.
8. დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის მიღებიდან 5 წლის შემდეგ უცხოელი უფლებამოსილია მიმართოს სააგენტოს სპეციალური ბინადრობის ნებართვის მისაღებად. აღნიშნული ბინადრობის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით და მისი გაგრძელება დასაშვებია წელიწადში ერთხელ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე.
9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ სპეციალური ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების კვლავ არსებობისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით უცხოელს გაუგრძელდება საქართველოში დროებითი ყოფნის უფლება.
10. უცხოელი, რომელზეც გაიცემა დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა, სარგებლობს ამ კანონის 25-ე, 29-ე, 30-ე, 33-ე, 37-ე და 41-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით, აგრეთვე, არაქონებრივი უფლებებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“.

24. **63-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:**
„2^1. ამ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლით უცხოელის საქართველოდან გაძევების შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვა შესაძლოა დაუწესდეს იმ უცხოელს, რომელიც ამავე კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ნებაყოფლობით დატოვებს.“.

25. **63-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 63^1 და 63^2 მუხლები**:
„მუხლი 63^1. იმ უცხოელების მონაცემთა ბაზა, რომლებიც კანონიერი საფუძვლის გარეშე იმყოფებიან ან იმყოფებოდნენ საქართველოში
1. სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან/და მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება იმ უცხოელების მონაცემთა ბაზა, რომლებიც კანონიერი საფუძვლის გარეშე იმყოფებიან ან იმყოფებოდნენ საქართველოში. მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

2. გაძევების საკითხის განხილვისას დამუშავებული მონაცემები და დოკუმენტაცია ინახება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მონაცემთა ბაზაში და დამუშავებული ინფორმაცია არ არის საჯარო.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონაცემთა ბაზის შექმნის, ბაზის წარმოების, დამუშავების, მონაცემების გაცვლის წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

მუხლი 63². სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინებისა და ბრძანების პირისთვის ჩაბარების წესი
1. უცხოელის საქართველოდან გაძევებასთან, საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების ვადის შემცირებასთან ან/და გაძევების თაობაზე საქართველოს შინაგან სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების ან სასამართლოს მიერ მიღებული ბრძანების დაუყოვნებლივ აღსრულებასთან, უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებასთან, დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომის გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლო დავის ფარგლებში, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების გამოტანისას, განჩინების/გადაწყვეტილების/ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი ამ კანონის 56[1] მუხლით დადგენილი წესით განთავსდება ვებგვერდზე.
2. მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილება პირს ბარდება მხოლოდ ქართულ ენაზე, ამ კანონის 56[1] მუხლით დადგენილი წესით და ჩაბარებულად მიიჩნევა ვებგვერდზე განთავსების დღის მომდევნო დღიდან.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისთვის, სასამართლოს უფლებამოსილ პირებს აქვთ წვდომა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის მონაცემთა ბაზაზე.“.

26. **64-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:
„მუხლი 64. საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების საფუძვლები
1. საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელი შეიძლება დაკავებულ იქნეს და მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში ან დროებითი განთავსების ცენტრში. დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული უცხოელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაყვანილ უნდა იქნეს დროებითი განთავსების ცენტრში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უცხოელის დაკავება ან/და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსება შეიძლება განხორციელდეს:
ა) თუ ვერ ხერხდება საქართველოში მყოფი უცხოელის იდენტიფიცირება;
ბ) თუ არსებობს უცხოელის მიმალვის საფრთხე;
გ) თუ უცხოელმა არ შეასრულა მოსამართლის მიერ განსაზღვრული დაკავების ალტერნატიული ზომით გათვალისწინებული ვალდებულებები;
დ) თუ საქართველოში მყოფი უცხოელის მიმართ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან/და მართლწესრიგს;
ე) თუ უცხოელი საფრთხეს უქმნის საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;
ვ) უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების უზრუნველსაყოფად;
ზ) უცხოელის სასამართლოში წარდგენის უზრუნველსაყოფად;

თ) თუ ამ კანონის 51[1] მუხლის შესაბამისად, უცხოელი არ თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოსთან;
ი) თუ უცხოელს არ გააჩნია დაბრუნებისთვის აუცილებელი დოკუმენტები, ან ამ დოკუმენტების მიღება ამ კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან ან ტრანზიტის ქვეყნიდან გვიანდება, ან უცხოელი უარს აცხადებს ან/და არ თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოსთან დაბრუნებისთვის აუცილებელი დოკუმენტების ამ კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან მიღებისთვის აუცილებელი პროცედურების განხორციელებაში;
კ) სასჯელის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით დანიშნული საქართველოდან გაძევების აღსრულების მიზნით;
ლ) ამ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, თუ უცხოელმა საქართველოში ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.
3. დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა უცხოელი წარედგინება სასამართლოს დროებითი განთავსების ცენტრში მისი მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ, უცხოელი დაუყოვნებლივ თავისუფლდება.
4. თუ არსებობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი, დაკავებული უცხოელი შეიძლება მოთავსდეს დროებითი განთავსების ცენტრში როგორც მისი საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ისე ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.
5. დაკავებული უცხოელი დროებითი განთავსების ცენტრში შეიძლება მოთავსდეს 3 თვით. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადა შეიძლება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე გაგრძელდეს დამატებით 3 თვით. უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ უცხოელი ტოვებს დროებითი განთავსების ცენტრს.
6. თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნის ან ოჯახის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსება შეიძლება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მაქსიმალურად მოკლე ვადით, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.
7. უცხოელს დაკავებისთანავე მისთვის გასაგებ ენაზე ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ უცხოელს ესმის, გასაგები ფორმით განემარტება:
ა) დაკავების საფუძველი;
ბ) ადვოკატის აყვანის უფლება;
გ) დაკავების შესახებ მისთვის სასურველი პირისთვის/ახლობლისთვის შეტყობინების უფლება;
დ) დიპლომატიური წარმომადგენლობისათვის/საკონსულო დაწესებულებისათვის მიმართვის უფლება;
ე) სამედიცინო შემოწმების მოთხოვნის უფლება;
ვ) დაკავების გასაჩივრების უფლება.
8. დაკავებულ უცხოელს საშუალება უნდა მიეცეს, დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მისთვის სასურველ პირს/ახლობელს, საჭიროების შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს რესურსის გამოყენებით. უცხოელის დაკავების შესახებ

დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და შესაბამისი სახელმწიფოს საკონსულოს.
9. თუ დაკავებული უცხოელი არასრულწლოვანია ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირია, მისი დაკავების შესახებ შეტყობინების ვალდებულება ეკისრება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს. არასრულწლოვანი უცხოელის დაკავების შესახებ ეცნობება მის კანონიერ წარმომადგენელს.
10. დაკავებული უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებისას სამგზავრო დოკუმენტი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ინახება ამ ცენტრში.
11. დროებითი განთავსების ცენტრიდან გათავისუფლება არ წარმოშობს უცხოელის საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძველს.
12. უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.“.

27. **64-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 64[1] და 64[2] მუხლები**:
„მუხლი 64[1]. დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსება
1. დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებისთანავე:
ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი გასაძევებელ პირთან დაკავშირებით დროებითი განთავსების ცენტრს გადასცემს ინფორმაციას და დოკუმენტებს, მათ შორის, მის სამგზავრო და საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს;
ბ) მოწმდება უცხოელის პირადი ნივთები და ხორციელდება მისი პირადი დათვალიერება, უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესის შესაბამისად. უცხოელს ჩამოერთმევა ყველა ის ნივთი, რომელიც ნებადართული არ არის ცენტრის ტერიტორიაზე შესანახად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს გამოიყენოს იძულების პროპორციული ღონისძიება;
გ) უცხოელმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება;
დ) განხორციელდება უცხოელის ფოტოს გადაღება და ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღება.
2. ცენტრში მოთავსებისას იხსნება გასაძევებელი პირის პირადი საქმე, რომელშიც შეყვანილია დოკუმენტები და ინფორმაცია, რომლებიც საფუძვლად უდევს გასაძევებელი პირის დაკავებას და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებას, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები და ინფორმაცია, ასევე დროებითი განთავსების ცენტრის შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები და ინფორმაცია.
3. დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებულ უცხოელს მისი უფლებები და მოვალეობები განემარტება მისთვის გასაგებ ენაზე ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ უცხოელს ესმის.

მუხლი 64[2]. დროებითი განთავსების ცენტრში უცხოელის მოთავსების პირობები
1. უცხოელს დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებისას, ასევე, მოთავსებულ პირს, აკრძალული ნივთების გამოსავლენად, შესაძლებელია ჩაუტარდეს დათვალიერება, აგრეთვე, გაისინჯოს მისი პირადი ნივთები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესით. ამ მიზნით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იძულების პროპორციული ღონისძიებები.

2. დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული უცხოელი ვალდებულია:
ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დროებითი განთავსების ცენტრში ყოფნის ქცევის წესები;
ბ) არ შეუქმნას საფრთხე დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებულ უცხოელს ან სხვა პირებს, ასევე დროებითი განთავსების ცენტრის უსაფრთხოებას;
გ) განზრახ არ დააზიანოს საკუთარი და სხვა პირთა ჯანმრთელობა ან ცენტრის საკუთრება.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, უცხოელის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოების ზომები.“.

28. **65-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:
„მუხლი 65. უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომა
1. სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობით, მიიღოს გადაწყვეტილება უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომის გამოყენების შესახებ, თუ სახეზე არ არის უცხოელის დაკავების საფუძველი.
2. დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიულ ზომად შეიძლება განისაზღვროს:
ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში ან პოლიციის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში რეგულარული, არაუმეტეს კვირაში ორჯერ გამოცხადება;
ბ) უცხოელთან დაკავშირებული საქართველოს მოქალაქის თავდებობა, ან მინიმუმ 3 000 ლარის ოდენობის გარანტია ან რეგულარული შემოსავლების დამადასტურებელი ცნობა;
გ) გირაო არაუმეტეს 5000 ლარის ოდენობით;
დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში სამგზავრო დოკუმენტის ჩაბარება;
ე) უცხოელის ვალდებულება, არ შეიცვალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში გაძევების საკითხის განხილვისას მითითებული საცხოვრებელი მისამართი.
3. ინდივიდუალური საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, უცხოელის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთდროულად დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ორი ალტერნატიული ზომა.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გირაო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეაქვს უცხოელს ან მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს.
5. დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომის მოქმედება შეიძლება დადგინდეს 3 თვემდე ვადით, რასაც განსაზღვრავს სასამართლო. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული ვადა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, შესაძლოა გაგრძელდეს დამატებით 3 თვით, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.“.

29. **კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის XI[1] თავი**:

„XI[1] თავი. იმ უცხოელის დაკავება და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსება, რომელიც გაძევების საკითხის განხილვის შემდეგ მოითხოვს საერთაშორისო დაცვას

მუხლი 66[1]. იმ უცხოელის დაკავება და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსება, რომელიც გაძევების საკითხის განხილვისას ან/და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოითხოვს საერთაშორისო დაცვას

1. გაძევების საკითხის განხილვის დაწყების ან/და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, უცხოელის მიერ საერთაშორისო დაცვაზე ან/და განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენისა და ამ განცხადების დასაშვებად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, უცხოელის დაკავება და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსება შეიძლება განხორციელდეს, თუ:

ა) არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან საერთაშორისო დაცვა მოითხოვა მისი საქართველოდან გაძევების პროცედურების გაჭიანურების ან მიმალვის მიზნით;

ბ) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან/და მართლწესრიგს;

გ) მან არ შეასრულა მოსამართლის მიერ განსაზღვრული დაკავების ალტერნატიული ზომით გათვალისწინებული ვალდებულებები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უცხოელი შეიძლება დაკავებულ იქნეს და მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში ან დროებითი განთავსების ცენტრში. დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული უცხოელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაყვანილი უნდა იქნეს დროებითი განთავსების ცენტრში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უცხოელის დაკავების შესახებ საქმე სასამართლოში განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება ამ კანონის 64-ე მუხლით დადგენილი წესით.

4. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებლის დაკავების შემდეგ, დროებითი განთავსების ცენტრში მისი მოთავსება ხორციელდება ამ კანონის 64[1] მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 66[2]. თავშესაფრის მაძიებლის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომა

1. სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობით, მიიღოს გადაწყვეტილება თავშესაფრის მაძიებლის დაკავების ალტერნატიული ზომის გამოყენების შესახებ.

2. თავშესაფრის მაძიებელს შესაძლოა განესაზღვროს ამ კანონის 65-ე მუხლით გათვალისწინებული ალტერნატიული ზომა ამავე მუხლით დადგენილი წესით.“.

30. **71-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს**.

მუხლი 2

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 2025 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა და სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**